კავშირი
ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას პრ. 76ბ
ტელ (995 32) 2 14 00 12)

UNION
CHILD, FAMILY, SOCIETY

vazha-phshavelas av 76, Tbilisi 0186 , Georgia.
Tel: (995 32) 2140012

Dcfs.georgia@gmail.com

05/01/2017

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

ბატონო გიორგი,

ა(ა)იპ „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობელთა პირველი გაერთიანებაა საქართველოში.

ორგანიზაციის მისიაა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის, ბავშვთა, განვითარების ხელშეწყობა, მათი უფლებების ადვოკატირება, ბავშვთა და მათი ოჯახის წევრთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინკლუზიის ხელშეწყობა.

ჩვენი ორგანიზაციის შექმნისას, საზოგადოება ვერ აცნობიერებდა შშმ პირების პრობლემებს და ერთგვარ იგნორირებასაც კი უკეთებდა მათ არსებობას. თავად მშობლები, სტიგმის გამო, იზოლაციაში ამყოფებდნენ საკუთარ შვილებს და მათ გამოჩენასაც კი ერიდებოდნენ.

სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენმა ორგანიზაციამ, როგორც შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ყველაზე მსხვილი გაერთიანების „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ დამფუძნებელმა და აქტიურმა წევრმა, განახორციელა რიგი მნიშვნელოვანი პროექტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მათი ოჯახების დასახმარებლად ადგილობრივი, თუ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ინიციატივითა და ხელშეწყობით, კოლეგებთან ერთად, შევქმენით მშობელთა მძლავრი მოძრაობა. გვახარებს მათი რიგებიდან არაერთი ახალგაზრდა ენთუზიასტი ლიდერის წარმოჩენა სამოქალაქო საზოგადოების ყველაზე აქტუალურ სფეროებში.

ბოლო წლებში, სახელმწიფოსთან ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად, აღმასრულებელი ხელისუფლების პრაქტიკულად ყველა სეგმენტმა პრიორიტეტად აღიარა შშმ პირთა თანაბარუფლებიანობაზე ზრუნვა, რაც აისახა კიდეც ყველა მიზნობრივი სამინისტროს ბიუჯეტში.

წელს, ჩვენს ორგანიზაციას და, შესაბამისად, შშმ ბავშვთა მშობლების მოძრაობას, დაარსებიდან 20 წელი უსრულდება.

ამ საიუბილეო თარიღის აღნიშვნა, ბუნებრივია, გულისხმობს მრავალწლიანი მუშაობის შედეგების შეჯამებასა და სამომავლო გეგმების ფართო საზოგადოების წინაშე წარდგენას.

ღონისძიების ჩატარების ადგილად შერჩეულია საქართველოს ტექნოლოგიური პარკი, როგორც ჩვენი პარტნიორი და თანამდგომი. აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიური პარკი, კერძოდ, ფაბლაბი, ჩვენს სპეციალისტებთან, ბენეფიციარებთან და მათ მშობლებთან ერთად, აქტიურად მუშაობს შშმ ბავშვთა უნარების განმავითარებელი თვალსაჩინოებების კონსტრუირებასა და შექმნაში.

კავშირი
ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას პრ. 76ბ
ტელ (995 32) 2 14 00 12)

UNION
CHILD, FAMILY, SOCIETY

vazha-phshavelas av 76, Tbilisi 0186 , Georgia.
Tel: (995 32) 2140012

Dcfs.georgia@gmail.com

ღონისძიებაზე მოწვეული აღმასრულებელი და საკანონმდებლო სტრუქტურების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო დონორების, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების, მას-მედიის, ჩვენი ორგანიზაციის ბენეფიციარებისა და მათი მშობლებისთვის, ზოგადად, ფართო საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება პირადად თქვენი, როგორც ქვეყნის ხელისუფლის, არა მხოლოდ დასწრება, არამედ სახელმწიფოს პრიორიტეტული ხედვის კიდევ ერთხელ წარმოჩენა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ.

ღონისძიების ჩატარების სავარაუდო პერიოდად მოვიაზრებთ 23-27 იანვარს. ზუსტი თარიღი პირადად თქვენი სამუშაო გრაფიკის შესაბამისად უნდა განისაზღვროს.

გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას.

ღრმა პატივისცემით :

მაია ბიბილეიშვილი,
თავმჯდომარე